№ 2777
ორშაბათი,
21 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 2777
ორშაბათი,
21 მარტი

ფასი: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც."-ის რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, [illegible] დღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

პარასკევს, 25 მარტისთვის, დილის 10 საათზე, ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია პირველი **საზოგადო კრება კავკასიაში ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა ურთ-ერთ დაიხმარებელ საზოგადოებისა.**

იმათ, ვისაც საზოგადოების წევრობა სურს, შეუძლიანთ ჩაეწერნენ ს. კ. მიხაილოვთან („ტფილ. ლისტ."-ის რედაქცია), ა. გ. ჯაბადართან („ცნ. ფურ." რედაქცია) და რ. ა. იოანესიანთან (ქალაქის საკრ. საზოგადოება); აგრეთვე კრების დღეს საბჭოს დარბაზის შესავალში.

პატარა სირაჯხანაში, სიონის ტაძართან, შარბაბჩევის სახლებში გავხსენი სასტუმრო ოთახები

„ძველი ტფილისი",

ოთახის ფასები ხელ-მისაწვდენია—40 კაპეიკიდან მანეთ ნახევრამდის. პატივისცემით ფილიპე ივანის ძე **ნიკალაიშვილი** და **გაბაშვილი**. (3—2)

სასტალრო სახელოსნო
იოსებ მაჭავარიანისა

იღებს შემოკვეთას ყველანაირ ავეჯისას, ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. იქვე იყიდება დამზადებული წიგნების და ბუფეტის შკაფები და სასადილო სტოლები. ელისაბედის ქუჩა № 19. (10—6.—2)

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა
„კოლხიდა"-სთან

იყიდება: **ნერგები** დამყნილ ვაზისა, ხეხილისა, ბჟოლისა (თუთისა). **თესლეულობა—აბრეშუმისა** (თეთრი და ყვითელი), **ბამბისა, ბოსტნეულისა,** და სხვა. შამბიამანი, გოგირდი, სამეურნეო იარაღი და მანქანები. ქართული პრეისკურანტი უფასოდ. (10—6.—4)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი აუწყებს თავად-აზნაურთ, რომ 31 მარტს, დილის 11 საათზე, თავ. ქობულაშვილის სახლში (გრიბოედოვის ქუჩა), მოხდება საგანგებო კრება გუბერნიის თავად-აზნაურთა.

განსახილველი საგნები:

3. თავად-აზნაურთა უქვეშევრდომილესი ადრესი მისს იმპერატორებით უდიდებულესობას, 2. განხილვა და შემუშავება ტფილისის გუბერნიის გლეხთა დასამშვიდებლად. (3—6.—3).

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

მ. ი. **ჭიჭინაძე.** კბილის 8—9 საათ.
მ. ა. **მაღალაშვილი.** შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. **ბალარჯიშვილი.**—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ხ. ი. **მელიქი.**—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
[illegible].—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
მ. გ. **მაჭაბელოვი.** შინაგ. და ბავშვ. 12—1.
[illegible].—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
ქ. **ქალი ე. ქ. იოსელიანი.**—ქალისა და სა[illegible] ორ. სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
[illegible].—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
ს. ს. **ალექსი-მესხიშვილი.**—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ხ. ი. **შამაძე.**—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმებსაც.

კბილის რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოსთვის აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ერთის 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი [illegible] მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. [illegible] ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
მ. ი. ბალარჯიშვილი

იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—17—26)

ბავშვების ექიმი
ა. ი. ბალარჯიშვილი

კიევის უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს მხოლოდ 15 წ. ასაკამდე ყოველ დღე 11—12 წ.

მიხეილის პრ. № 115. ნემეცების ეკლესიის გვერდით, ტელეფ. 729. (30—91—14)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე

იღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6-8-მდე, გარდა კვირის საღამოსა. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილ ის სახლ[illegible] პოსტის პირდაპირ № 18. (60—28—41)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაჭალაშვილი

მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.

ტფილისის და ველიკოკნიაზის ქუჩების კუთხეში) კომერციული ბანკის სახლი (60—408—39

კბილის ექიმი
ივანე ა. ახალშენიშვილი

ახალი ადრ.: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდისა (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 ხდ ხუთშაბათს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი!.

ახალი ამბავი

◆ როგორც მოხსენებული გვქონდა, დედათა **საეპარქიო სასწავლებელში** სწავლა ეს მეხუთე დღეა შეწყვეტილია. სასწავლებლის გამგეობამ გუშინ და გუშინწინ (19—20 მარტი) მასწავლებელ აღმზრდელ ქალებს დაურიგა საგზაო ფულები და უფროს კლასების მოსწავლე ქალები, რიცხვით 90-ამდის, გააყოლა იმერეთისა და ქართლისკენ, სადაც მოსწავლეთ მშობლებს ჩააბარებენ. დღეიდან კი სასწავლებლის გამგეობა დაიწყებს სწავლის მოსამზადებელ კლასის და პირველ და მეორე კლასის პატარა მოწაფე ქალებთან.

◆ როგორც ტფილისის გუბერნატორთან წარდგენილ ცნობებიდანა სჩანს, 1904 წელს ტფილისს **შემოსავალი ჰქონია** 1,741,241 მან, 43 კაპ,, ხარჯი 1,624,038 ქალაქის უძრავი ქონება ამ ჟამად ღირს 2,112,351 მან. 52 კაპ.

◆ კავკასიის **ბეჭდვითი სიტყვის მოღვაწეთა** ურთერი დამხმარებელ საზოგადოების პირველი კრება დანიშნულია 25 მარტისთვის. ამ კრებაზედ ამორჩეულ იქმნებიან გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრები.

◆ ტფილისის საბჭოს დღევანდელ კრებაზე, სხვათა შორის, განსახილველად დანიშნულია მეპურეთა განცხადება **პურის ნიხრის მომატების შესახებ.** საბჭომ ამას წინად უყურადღებოდ დასტოვა მეპურეთა განცხადება.

◆ **ბათუმში,** „ნ. ო."-ს სიტყვით, შეიარაღებული კაცები თავს დაეცნენ მანთაშევის ნოქარს, რომელიც მუშებს ჯამაგირს ურიგებდა. წაუღიათ ათას ორასი მანეთი.

◆ საგუბერნიო ადმინისტრაციამ დაამტკიცა თანამდებობაზე **გორის ქალაქის რწმუნებულთა** მიერ მამასახლისად არჩეული ლ. დ. გრიგოლაშვილი.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროს განზრახავს **კავკასიაში მერძეობის საშუალო სასწავლებლის** დაარსება. სამინისტრომ საჭირო ცნობები მოსთხოვა თავის რწმუნებულს კავკასიაში.

◆ ცხინვალში, როგორც „ნ. ო."-ს გაუგია, დაუჭრიათ ადგილობრივი ბოქაული თავ. ავალიშვილი. ამავე გაზეთის სიტყვით, არა მართლდება ლეჩხუმში ბოქაულის მახარაძის მოკვლა.

◆ სიღნაღის მაზრაში ამ თვის 15-ამდის შემდეგი ამბები მომხდარა: 1. ვიღაც უცნობი პირები თავს დაესხნენ სოფ. ბოდბეში მცხოვრებ გიორგი მოსეშვილის სახლს და თოფების სროლა ასტეხეს. როცა მოსეშვილი და მისი ძმა გამოცვივდნენ ნახეს სამი კაცი, რომელნიც ვერ იცნეს; 2. სოფ. ბაკურციხეში თავს დასცემიან და გაუტეხიათ ვაჰრის კაპლო ხაჩატუროვის მაღაზია და დიდ-ძალი საქონელი გაუზიდიათ; სულ 3500 მანეთისა; 3. ამავე სოფელში ალექსი ბაციელაშვილის სახლსა და საბძელს ვიღაც უცნობ პირებმა ცეცხლი წაუკიდეს და ერთიან გადასწვეს.

◆ თიანეთის მაზრაში ამ თვის 15-მდის შემდეგი ამბები მომხდარა: 1. სოფ. ქამალგოში დადო გათოს ძე მუგური ჩხუბის დროს დასჭრა თოფით მძიმედ სოფ. ბაზდეთის მცხოვრებმა ბადო მუხაურმა; 2. სოფ. თერეთეგოში ამ სოფლის მცხოვრებნი ბისან და მიტირ მარეშაულები ჩხუბის დროს მურთაზ და არსენ ფერეზაულებთან დაიჭრნენ ხანჯლებით; 3. სოფ. ჯარეგოს მცხოვრებმა ასტემირ ხაისერმა ჩხუბის დროს თავისი ცოლი ტასო ხანჯლით დასჭრა. ცოტა ხნის შემდეგ ტასო გარდაიცვალა.

◆ ამ დღეებში ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა უფროსებმა საერთო განცხადება შეიტანეს გამგეობაში და აცნობეს, რომ მათ შეუძლებლად მიაჩნიათ სასწავლებელთა გამგე კომისიის დადგენილების ასრულება მოსამსახურეთათვის ჯამაგირების მიცემის შესახებ. ამ საქმის ისტორია ეხსომებათ მკითხველებს. გამგეობამ დაადგინა, ამ განცხადების შესახებ კომისიას შეეკითხოს.

◆ ბორჩალოს მაზრაში შემდეგი ამბები მომხდარა ამ თვის 16-ამდის: 1. სოფ. ბუნდიკში სამმა უცნობმა პირმა თოფებით მძიმედ დასჭრა აბრამ გაბანოვი, როდესაც პირველთ უკანასკნელი მოპარულ ცხენს აგდებინებდა, 2. სოფ. სარჩაფეტში ბარსეგ ბარსეგოვმა ამხანაგებით მოიტაცა 12 წლის ქალი, მხითარ ყაზაროვის ქალი, რომ ჯვარი დაეწერა; 3. სოფ. ვარანცოკავში სოფ. ილმაზლოს მცხოვრებმა ჰაჯი-ისმაილ ოღლიმ ხანჯლით სასიკვდილოდ დასჭრა პავლე პაპოვი; 4. სოფ. ვარანცოვკის მცხოვრებმა მიხეილ სუბდალცევმა ჩხუბის დროს ხეჩატურ ამირხანოვი მძიმედ დასჭრა რკინის ორთითით; 5. სოფ. სარალის მცხოვრებმა ალნაგ-ალი-ოღლიმ და ჯალილ-მამედ-ჰასან-ოღლიმ აბას-კელბალაი-ოღლი ხანჯლით და რევოლვერით სასიკვდილოდ დასჭრეს.

◆ სად. ქვალონი. 16 მარტს, ღამის 12 საათზე, მე-26 ვერსზე, მატარებელი № 12 გაჩერდა. რადგან ლიანდაგზე 4 შპალი აღმოჩნდა. უბედურება არა მომხდარა-რა.

◆ სად. ქალადიდი. 16 მარტს, დილის 5½ საათზე, მე-23 ვერსზე გაჩერდა მატარებელი № 13, რადგან ლიანდაგზე სამი შპალი აღმოჩნდა. უბედურება არ მომხდარა.

◆ თავის დროზე გაზეთებში უკვე იყო აღნიშნული, რომ 1902 წელს ტფილისის კლუბში ბანქოს თამაშობის დროს ბოქაულის თანაშემწედ ნამყოფმა ანტონ ცირულმა ბოთლი დაარტყა თავის „პარტნიორს. ოლქის სასამართლომ ამას წინად დამნაშავედ იცნო ცირული და გადაუწყვიტა ოთხის თვით საპყრობილეში დაპატიმრება. სამ.სამართლო პალატამ 17 მარტს განიხილა ეს საქმე და 2 თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა, მაგრამ მანიფესტის ძალით სასჯელისაგან სულ გაანთავისუფლა.

◆ 18 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნული იყო განსახილველად საქმე სიღნაღის მაზრის მცხოვრებთა მიხეილ ვაჩნაძისა და ნიკოლოზ გოძელაურისა, რომელთაც კარდანახელ მცხოვრებთა სახეჩელაშვილისა და სხვ. თავ-დასხმა ჰბრალდებოდათ. რადგან არ გამოცხადდა ერთი უმთავრესი მოწმე,—თავ. ჯორჯაძე,—საქმე გადაიდო.

◆ 18 მარტს, როგორც სადგურ ბალაჯარიდან გვატყობინებენ, სადგურს ახლო მინავლებულა 32 ვაგონისაგან შემდგარი მატარებელი № 171. გზაში ორთქლმავლიდან მესამე ვაგონს შემდეგ მატარებელი მოწყვეტილა და ვაგონები ცალ-ცალკე მიუყვანიათ სადგურამდე.

◆ ალავერდოვის ქუჩაზე, თელავის მცხოვრები გიორგი ბაბუევი ამოდებუ ის რევოლვერით გამოჰკიდებია 18 მარტს ტფილისის მცხოვრებს აკოფ აკოფოვს. ბაბუევს უსრლია რევოლვერი, მაგრამ აუცილებია. ბაბუევი დააპატიმრეს.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი. თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ მრავალი ხალხის თანადასწრებით განიხილა და დაადგინა: მიენდოს კომისიას შეიმუშაოს ზომები გლეხთა და აზნაურთ შორის არსებულ უთანხმოების მოსასპობლად და თავად-აზნაურთა და გლეხთა შესაერთებლად, რათა საერთო ძალა მოხმარდეს საზოგადო საქმეებს. კომისია მიიღებს რჩევას ყველასაგან.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქუთაისის გუბერნატორის მოადგილემ ვიცე-გუბერნატორმა კალაჩოვმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას: რადგან ამ ბოლო დროს ქუთაისში ძლიერ გახშირდა არეულობები, თავდასხმა და ძარცვა-გლეჯა, ამისათვის საჭიროა ამ არეულობათა მოსასპობად და წესიერების დასამყარებლად გაძლიერებულ იქმნეს პოლიციის დაბალ მოსამსახურეთა შტატი; აგრეთვე ძველებსაც მოემატოთ ჯამაგირებიო. ვიცე-გუბერნატორი არეულობათა მოსასპობად და წესიერების დასამყარებლად საჭიროდ სცნობს დაქირავებულ იქმნეს ქალაქის მიერ ოცი ახალი პოლიციელი და ძველების ჯამაგირებსაც ყოველთვიურად სამ-სამი მანეთი მოემატოს. ყველა ამისათვის ქალაქს დასჭირდება არა ნაკლებ ხუთი ათას მანეთისა. უწინდელ ვიცე-გუბერნატორის წინადადების გამო ამ დღეებში ქალაქის გამგეობა მოიწვევს საბჭოს საგანგებო კრებას.

◆ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს განკარგულება მოუხდენია, ქუთაისში მეტის წესიერების დასამყარებლად ქალაქი სამ ნაწილად გაიყოს და თითო ნაწილში დაინიშნოს ქუთაისში მდგომ ჯარის თითო რაზმი. ქალაქის შუა ნაწილში დაუნიშნავთ კურინსკი რაზმი პოლკოვნიკის გაბაშვილის უფროსობით, რიონის გაღმა ნაწილში (зарѣчный участокъ)—ფოთის რაზმი, პოლკოვნიკის კირილოვის უფროსობით და მთიანს ნაწილში (Нагорный участокъ)—ყაზახთა ხოპიორის რაზმი პოლკოვნიკის შჩერბინას უფროსობით.

◆ ქალაქის მოურავს ბევრი განცხადება მოსდის მცხოვრებთაგან, ყაზახ-რუსების თავგასულობას საზღვარი არ აქვს და შებინდდება თუ არა, ქუჩაში ვეღარ გაგვივლია ვერც კაცსა და ვერც ქალსაო, და რამე ღონისძიება იხმარეთ ჩვენს დასაფარავადო. ქალაქის მოურავს რამდენიმე განცხადება თავისი დასკვნით გენერალ-გუბერნატორისათვის წარუდგენია.

◆ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი თავ. ჯამბაკურ-ორბელიანი ოზურგეთის მაზრაში წავიდა ადგილობრივ საქმეების გამო. მას თან ახლდნენ: ქუთაისის მაზრის უფროსი თავ. ჯ. თ. დადეშქელიანი, ოზურგეთის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. კ. დ. ერისთავი, ადგილობრივ მკვიდრნი და სხ.

◆ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით განთავისუფლებულ იქმნა რამდენიმე პირი, რომელთაც ამ სამი-ოთხი დღის წინად გამოუცხადეს, კავკასიიდან უნდა გადაგასახლოთო. მხოლოდ ერთი კი (სტუდენტი ვ. გობეჩია) იგზავნება კავკასიიდან. საცხოვრებლად მას ამოურჩევია ქალაქი ოდესა. გენერალ-გუბერნატორისავე განკარგულებით ამ დღეებში ქუთაისის საპყრობილიდან გამოუშვიათ იანვარში მომხდარ არეულობის დროს დატუსაღებული რამდენიმე პირი.

◆ 18 მარტს, დილის 10—11 საათზე, ტფილისის ქუჩაზე, როგორც უკვე იცით, რამდენიმე შეიარაღებული კაცი თავს დაესხა ქუთაისის რკინის გზის სადგურის უფროსს, რომელსაც ხაზინაში შესატანად ფული მიჰქონდა. მალე იმ ადგილს, სადაც ეს ამბავი მოხდა, მთელი ჯარი მიიყვანეს და ახლო-მახლო გზები ყოველ მხრით შეჰკრეს. ავაზაკები თურმე იქვე მიმალულიყვნენ ერთს ქვის თაღით შეკრულს მაღალს თხრილში. ნაშუადღევს, როდესაც ხმაურობა მიწყნარდა, ერთს ავაზაკთაგანს მოუსურვებია თხრილიდან გარედ გამოხედვა, აბა, თუ წავიდნენ ჩვენი მდევნელნიო. ეს შეუმჩნევიათ იქვე ჩასაფრებულ დარაჯებს, მაშინვე შემოსევიან თხრილს და შეუპყრიათ ოთხი ავაზაკი, რომელთაც მოტაცებული ფული თან აღმოჩნენიათ.

◆ როგორც გავიგეთ, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისათვის განცხადება წარუდგენია 106 გიმნაზიელს; თხოულობენ, სწავლის გაგრძელება გვსურს და სასწავლებელი გახსენითო.

◆ ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებლებშიაც ფაქტიურად შესწყდა სწავლა, მხოლოდ რამდენიმე სასწავლებლებში აჩერებენ ბავშვებს.

◆ მდგომარე წლის 9 მარტს ქუთათურმა მეჩექმეებმა ერთმანეთთან შეთანხმების შემდეგ ასეთი სავალდებულო წესდება დაადგინეს. ა) თუ ქარგალმა რაიმე მიზეზის გამო სამუშაო დღეები გააცდინა, შემდეგში უნდა შეავსოს, მუშაობის დროს კი უნდა იმუშაოს რიგიანად და პატიოსნად; ბ) ქარგალს ნება არა აქვს ვადის შესრულებამდის დაეთხოვოს უფროსს; არც უფროსსა აქვს უფლება ვადამდის დაითხოვოს ქარგალი. თუ, ვინიცობაა, ქარგალმა მოითხოვა გასვლა, ვადამდის ორის კვირით ადრე უნდა აცნობოს უფროსს; ამგვარადვე უნდა მოიქცეს უფროსიც ქარგლის მიმართ, თუ სურს მისი დათხოვნა; გ) ქარგალს ნება არა აქვს, რომ თავის სასარგებლოდ აიღოს საქმე, თუ უფროსი დაუკმაყოფილებს მოთხოვნილებას; დ) შეგირდს უნდა ეძლეოდეს რიგიანი სასმელ-საჭმელი, რაც შეიძლება (?), სუფთა ტანისამოსი; უნდა ეძლეოდეთ ორი წყვილი საცვალი, ორი წყვილი ტანისამოსი, სუფთა ბინა და საწოლი; უნდა თავის დროზე (?) იგზავნებოდეს აბანოში; საკვირაო სკოლაში მათი სიარული უნდა სავალდებულო იყოს. შეგირდს არ შეუძლია უფროსის ნება დაურთველად სადმე წავიდეს. ოსტატებს არ შეუძლიათ ვადა გაუთავებელი შეგირდები, ან ვადა გათავებულნი მიიღონ მათი გამზრდელის დაუკითხავად; ე) კვირა დღეებში სახელოსნოები მთელის დღით უნდა დაიკეტოს. ამასთანავე აღნიშნულია მეჩექმეთა ნიხრი, რომელიც წინანდელთან შედარებით ერთი-ორად გადიდებულია; ფეხსაცმლის ტყავის ქუსლის მოდგმა, მაგალითად ღირს 1 მ. 20 კაპ., კაცის ფეხსაცმლის „ნასოკი" 1 მან. და სხ.

ჟურნალ-გაზეთებიდან

იაპონიის ჯარის ქცევა. რუსის კორესპონდენტების უმეტესობა იმ თავითვე ცდილობდა, იაპონიის ჯარისათვის ათას-ნაირი მხეცობა და ბოროტება დაებრალებინა და ამით სახელი გაეტეხა რუსეთის მტრისათვის, მაგრამ ვერას გახდნენ. მიუდგომელი რუსის კორესპონდენტები კი სულ სხვა ცნობებსა ჰგზავნიდნენ იაპონიის ჯარის ქცევაზე. „რუსკოე სლოვო"-ს კორესპონდენტი შტაბის პოლკოვნიკი ობოლეშევი დეპეშით იუწყება გუნჩულინიდან: „13 მარტს მუკდენიდან მოწყალების დები ჩერტკოვა და ერთი კიდევ სხვა და დაბრუნდნენ. ორივე მოწყალების და მუკდენის ბრძოლის დროს გატაცებით იარებს უხვევდნენ, თურმე, დაჭრილებს და ვერც-კი შენიშნეს იაპონელების მისვლა. იაპონელები დიდის პატივისცემით მიესალმნენ მოწყალების დებს და მაშინვე ექიმები მოაშველეს. ექიმებმა ხელად შეუხვიეს დაჭრილ რუსებს იარები და მოწყალების დებს საუბარი დაუწყეს. ექიმებმა ყველამ გერმანული და ფრანგული ენა იცოდნენ. დაბინდებისას იაპონელებმა ვახშამი მიართვეს დებს და სახლი მისცეს დასაძინებლად. ერთის დღის შემდეგ, როცა ყველა დაჭრილს მოუარეს, დებთან მოვიდა რაზმის უფროსი, რუსულ ენის ჩინებული მცოდნე, ცხენები მიართვა, ოთხი რუსის სანიტარიც მოიყვანა და ერთი იაპონელი წითელ ჯვრის ბაირაღით გააყოლა გასაცილებლად, რუსის ჯარისაკენ გაისტუმრა და თან ასწავლათ, ყველაზე უშიშარი გზა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისაკენაო. დები მშვიდობიანად გასცდნენ მოდარაჯე იაპონელთა წრეს, ერთ ადგილას კიდევ შეჰხვდნენ დაჭრილ რუსებს და ხელახლად დახმარება გაუწიეს. რადგან ზოგიერთ დაჭრილს ფეხით სიარული არ შეეძლო, დებმა ცხენები იმათ დაუთმეს, თითონ კი ერთ ბატარეის გაჰყვნენ. ჩერტკოვის ქალი დიდის მწუხარებით ამბობს, ჩვენი თანამემამულე რუსები გაცილებით ცუდად მოგვექცნენ, ვიდრე იაპონელებიო. დებმა სთქვეს აგრეთვე, ბრძოლის ველზე ბევრი დაჭრილი რუსი დარჩაო. მაგრამ იმის შემდეგ, რაც თითონ დებმა ნახეს და გამოსცადეს, დატოვებულ დაჭრილთა ბედი სულაც არ უნდა გვაფიქრებდეს და გვაწუხებდეს".

ახალი მობილიზაცია. პეტერბურგიდან „კენიგ ცაიტუნგ"-ს დეპეშითატყობინებენ: 17 მარტს რუსეთი დიდ მობილიზაციის მოახდენსო. („ს.").

რუსეთის ოქროს ფონდი. როგორც ვიცით, რუსეთის ფინანსთა მინისტრმა კოკოვცევმა მოიწვია „ტაიმს"-ის რედაქტორი, პეტერბურგში მოდით და თქვენის თვალით ნახეთ, რამდენი ოქროა სახელმწიფო ბანკშიო. ამის თაობაზე დაწერილ მოწინავე წერილში „ტაიმს"-ი, სხვათა შორის, ამბობს: „გინდ ჩვენ თითონ გავსინჯოთ და დავრწმუნდეთ კიდეც, რომ რუსეთის სახელმწიფო ბანკში ოქრო აწყვია—თუმცა თითონ ბ. კოკოვცევიც არ ამბობს, რამდენი ოქრო უწყვია ბანკში,—ეს გასინჯვა, ჩვენის აზრით, მაინც ვერ გადასწყვეტს ბ. ვოლფის მიერ აღძრულ საკითხს. ეს საკითხი რუსეთის სახელმწიფოს შეძლებას შეეხება. საქმე იმაში როდია, არსებობს რუსეთის სახელმწიფო ბანკში ოქროს ფონდი თუ არა, საქმე იმაშია, თუ რამდენი ოქრო აქვს რუსეთს და რამდენი ვალი. არც ბ. ვოლფი, არც „ნიუ-იორკ ჰერალდ"-ის კორესპონდენტი არ უარ-ჰყოფენ ოქროს ფონდის არსებობას; ბ. ვოლფი ამბობს, რუსეთს 1,900,000,000 მანეთის ოქრო აქვსო, მაგრამ ბალანსის შედგენის დროს არა მარტო „კრედიტი" (რაც აქვს), „დებეტი"-ც (რაც ჰმართებს) უნდა იანგარიშოთ. („რ. ს.").

რუსეთის ქრონიკა

მაქსიმ გორკის საქმე. როგორც ნოქამი გვქონდა, გორკის აბრალებენ პროკლამაციის შედგენის ხელში გასავრცელებლად (სისხ. სამართლის დებულების 135 მუხლის 1 პუნქტი ასეთ მოქმედებისათვის დამნაშავეს მთელი სამს წლამდე ციხეში ამწყვდევს. საქმეს გაარჩევენ საზოგადოების დაუსწრებლად. პროკურორი მეტსაც თხოულობს: არ შეუშვან სასამართლოში საქმის გარჩევის დროს ბრალდებულის ნათესავებიც. („რუს").

მუშებისა და ჯარის შეტაკება პოლონეთში. 8 მარტს გაფიცულ მუშების ბრბო გოსტინინის მაზრიდან გადავიდა კუტნოვსაში და შეუერთდა გაფიცულ სოფლელ მუშებს. ორასამდე კაცმა მოიყარა თავი და წავიდნენ ს. სუხოდემბემდე, რომ აქაური მუშებიც თავის მხარეზედ გადაეყვანათ. მაგრამ ამ დროს მოუსწრო საერობო დარაჯის უფროსმა გრიბმა და წინადადება მისცა დაშლილიყვნენ. გლეხებმა ური არ ათხოვეს თხოვნასაც. კაპიტანმა მიმართა რაზმის უფროსს დახმარებისათვის. უფროსმა გამოუცხადა გლეხებს—დაიშალენით, [illegible] იძულებული ვიქნები იარაღი ვახმაროთ. [illegible] არც ამ მუქარამ გასჭრა, უფროსმა [illegible] უბრძანა ჯარისკაცებს. ხალხი არც ამის შემდეგ დაძრულა ადგილიდან. მხოლოდ მეორედ რომ გაისროლა რაზმმა თოფები, გლეხები გაიქცნენ. მოკლული 11 კაცი (მათ შორის 3 დედაკაცი) და დაჭრილია 10. („რ. ვ.").

ქალაქი და სამოსწავლო უწყება. მოსკოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა მიჰმართა ქალაქის საბჭოს და სთხოვა, შეატყობინეთ, რა მონაწილეობას მიიღებს ქალაქი განზრახულ მეორე რეალურ სკოლის საქმეშიო. ქალაქის საბჭომ კატეგორიული უარი შეუთვალა—არავითარ მონაწილეობასაც არ მივიღებთო. საფინანსო კომისიას შემდეგი მოტივები მოჰყავს ამ უარისა: „ქალაქი ვერ გაიღებს ხარჯს სახელმწიფო სკოლისათვის, რადგან იმედი არა აქვს, რომ ეს სკოლა დააკმაყოფილებს მცხოვრებთა ეხლანდელ მოთხოვნილებას; გარდა ამისა ქალაქი ვერ დახარჯავს ფულს ისეთ დაწესებულებაზე, რომელიც მას კანტროლს არ ექვემდებარება, („რ.").

ცენზურა ტრაქტირებსა და სახაიებში. კოვროვიდან (ვლადიმირის გუბერნია) სწერენ „რუს. სლოვო"-ს: ტრაქტირებისა და სახაიების პატრონებს ხელწერილი ჩამოართვეს, რომ მხოლოდ იმ გაზეთებს გამოიწერენ თავიანთ დაწესებულებისათვის, რომელნიც მოწონებულია გუბერნატორისაგან; ამასთანავე პირობა ჩამოართვეს, რომ არც სტუმრებს მისცემენ ნებას მოიტანონ სხვა გაზეთები და იქ იკითხონ.

საინტერესო საჩივარი. ცვინის თეატრის ანტრეპრენიორი ტრეფილოვი უჩივის ვიტებსკის გუბერნატორს 13 ათას მანეთს: „დაწნიკი"-ს წარმოდგენის დროს მაყურებლებ შორის სარე-

ვოლუციით სიტყვები გაისმა და გუბერნატორმა შესწყვიტა წარმოდგენა. შემდეგ ნება არ მისცა თეატრის გახსნისა თუ არ იმ პირობით, რომ თეატრში მხოლოდ კეთილსაიმედო პირები შეუშვან. ამითი ანტრეპრენიორმა, რასაკვირველია, დიდი ზარალი ნახა. („ს. თ.“).

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.

19 მარტი

ლონდონი. „მორნინგ პოსტი“-ს იაპონელი კორესპონდენტი დაბეჯითებით ამბობს, საფუძველი მაქვს გადაჭრით განვაცხადო, რომ ტყუილია ყველა ის ხმები, ვითომც იაპონიას ეცადნოს ზავის ჩამოგდებაზე ლაპარაკი და წარედგინოს კიდეც რუსეთისთვის თვისი პირობები. „აშკარაა,— ამბობს ხსენებული კორესპონდენტი,—რომ იაპონია, ეხლა იმნაირ მდგომარეობაშია, რომ შეუძლიან გაადიდოს თვისი მოთხოვნები კორეის და მანჯურიის შესახებ, იმისაგან დამოუკიდებლათ, ჩამოაგდებენ თუ არა ზავს. რუსეთი, როგორც დამარცხებული ქვეყანა, იძულებული იქნება დაეთანხმოს იაპონიას, თუ იგი ზავის ჩამოგდებას მოისურვებს. უეჭველია, რუსეთი ზავის ჩამოგდებას უსხვერპლოთ ვერ მიაღწევს“.

ვაშინგტონი. თუმცა არღვევენ იმ ცნობას, ვითომც რუზველტი შუამდგომლათ აერჩიოს ომის შეწყვეტის საქმეში, უეჭველია, რომ მოლაპარაკები მაინც არის გამართული ამ მიზნით. ყოველ ეჭვს გარეშეა ის ამბავი, რომ იაპონიის ელჩს სჯა-ბაასი ჰქონდა რუზველტთან ზავის პირობებზე და ისიც, რომ ვაშინგტონის დიპლომატიურ წრეების ზოგ წევრებსაც ჰქონდათ ამის შესახებ თათბირი პრეზიდენტთან. მოთხოვნათა რიცხვში, რასაკვირველია, კონტრიბუციაც არის. ამბობენ, იაპონია არას გზით არ დასთმობს ამ პუნქტსო.—საფრანგეთის ელჩმა ჟუსერანმა დღეს ინახულა რუზველტი და დაჰყო მასთან ნახევარი საათი.

რომი. გერმანიის იმპერატორის ნეაპოლში მოსვლას ოფიციალური ხასიათი ექნება. იმპერატორს შეხვდებიან ტიტტონი და ფორტისი.

სტამბოლი. პორტამ გადასწყვიტა, განაცხადოს პროტესტი ელგატარის დაჭერის წინააღმდეგ და წინააღმდეგობა გაუწიოს დამჭერთ.

ათინა. აჯანყებულთ რიცხვი კრიტის კუნძულზე სამი ათასი კაცია. მეფემ დელიანისის [illegible] მიიღო კრიტოსის მეთაური პალაგითორკი.

ბერლინი. გერმანიაში შფოთი გამოიწვია ინგლისის პრესის მოულოდნელმა აზრმა იმპერატორის მოგზაურობის შესახებ. ჰფიქრობენ, ინგლისი საფრანგეთთან დასაახლოვებლათ ემზადებაო. როგორც ჰკონიათ, გადაწყვეტილი საქმეა, რომ ინგლისის ესკადრა მივა ბრესტში, საფრანგეთისა— ინგლისშიო.

სტამბოლი. ოსმალთ წრეებს ეშინიათ, ინგლისის ფლოტი, რომელიც სუდის ნავთსადგურში დგას, მზათაა გადაიყვანოს ჯარი ნაპირზე, ვითომდა აჯანყებულთ დასამშვიდებლათო.

პეტერბურგი, ოფიციალური. მინისტრთა კომიტეტის 1905 წ. 8 მარტის საკანგებო ჟურნალიდან ამოღებული, 1904 წლის 12 დეკემბრის უმაღლეს ბრძანების მეექვსე პუნქტის შესრულების შესახებ: შინაგან საქმეთა მინისტრმა წინადადება მისცა კომიტეტს მიიღოს შემდეგი ზომები: ა) 26 თებერვალს უმაღლესი ბრძანება გამოიცა, დაბრუნებულ იქნან 72 სექტანტი, რომელნიც ციმბირში იყვნენ გაგზავნილნი სამხედრო ბეგრის მოხდაზე უარის თქმისთვის. ისინი გაგზავნეს 1896 წ. 5 აგვისტოს უმაღლეს საზოგადო მბრძანებისამებრ, რომელიც ეხლა გაუქმებულია; ბ) ადგილობრივ მთავრობას ეცნობა შემდეგ პირთა განთავისუფლება: 34 კაცისა, რომელნიც დასჯილნი იყვნენ რელიგიოზურ ხასიათის საქმეზე სახელმწიფოს დაცვის დებულების მე-34 მუხ. ძალით, 1880 წლამდე გამოცემულ განკარგულებების ძალით დასჯილ 253 კაცის, 1884 წ. 5 ოქტომბრის მინისტრთა კომიტეტის დებულების ძალით 9-სა და სახელმწიფო დაცვის მე 16-ე მუხლისა ანუ კავკასიის მთავარ-მართებლისა და თურქესტნის გენერალ-გუბერნატორისადმი მინიჭებულ საკანგებო მინდობილებისა ძალით გაგზავნილი 36 პირისა; გ) ადგილობრივ მთავრობას ეცნობა, რომ განთავისუფლებულია 142 უნიატი, გაგზავნილი პოლონეთიდან შინაგან გუბერნიებში და ამავე ჯგუფის მოძმე 16 კაცი, რომელნიც პოლიციის მზედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ ვისლის პირა მხარეში; დ) ამა წლის 19 თებერვალს გამოცემულ ცირკულიარით წინადადება მიეცათ საგუბერნიო მთავრობებს: მათდამი მინდობილ გუბერნიებში არავითარი ადმინისტრატიული შემავიწროებელი ზომები, რომელნიც კანონში არაა მოხსენებული, არ იხმარონ რელიგიის საქმეში და კვლავ არ მოხდეს, რომ ხსენებულ საქმეში იხელმძღვანელონ სახელმწიფოს დაცვისა და პოლიციურ მზედველობის დებულების პუნქტებით. რელიგიის შესახებ საწარმოთ გადაცემული საქმეები დაუყოვნებლივ შეწყვეტილ იქნან და განკარგულება მოახდინონ, რათა პოლიციის მზედველობიდგან ანუ საცხოვრებელ ადგილის ამორჩევის უფლების განსაზღვრისაგან განთავისუფლებულ იქნან ყველანი, ვინც ხსენებულ მზედველობის ქვეშაა და რომელთა საცხოვრებელი უფლება განსაზღვრულია რელიგიის საქმეების გამო შინაგან საქმეთა სამინისტროს ანა და ადგილობრივ მთავრობათა განკარგულებით. დაუყოვნებლივ განთავისუფლონ განსაზღვრისაგან ის პირნი, რომელნიც ოდესმე გაუგზავნიათ გუბერნიებიდან ადმინისტრაციის წესით ადგილობრივ საგუბერნიო მთავრობის დადგენილების ძალით რელიგიურ მიზეზების გამო. გამოკვლეულ იქნას, რომელნი პირნი მზედველობას ქვეშ ან განსაზღვრულ უფლებებში უმაღლეს ბრძანებით და საჩქაროთ წარმოდგენილ იქნას მათი სია შინაგან საქმეთა სამინისტროში, რათა ამა წლის 11 თებერვალს მინისტრთა კომიტეტისაგან გამოცემულ დებულების მესამე პუნქტით იხელმძღვანელონ მათ შესახებ. შემდეგ კომიტეტს მოხსენდა, რომ იუსტიციის სამინისტრომ 2 მარტს ითხოვა უმაღლესი ნება, რათა განთავისუფლებულ იქნას 278 დუხობორი იმ სასჯელისაგან, რომელიც მათ მიენიჭათ 1897 წ. 30 აპრილის უმაღლეს ბრძანებით და შეწყნარებულ იქნან 4 სექტანტი, რომელნიც ადმინისტრაციის წესით არიან დასჯილნი რელიგიის საქმეების გამო. ამისაგან დამოუკიდებლათ იუსტიციის სამინისტრომ ზომები მიიღო, საჩქაროთ გამოკვლეულ იქნას რამდენი ამგვარი ხასიათის საქმე უწარმოებიათ დღემდე, რათა განთავისუფლონ დამნაშავენი მინიჭებულ სასჯელისგან.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.

19 მარტი

ვაშინგტონი. 19 მარტი. სარწმუნო წყაროდან უარ-ყოფენ „ტაიმს“-ის ცნობას, ვითომ რუზველტი შუამდგომლობას უწევს რუსეთსა და იაპონიასაო.

ნიუ-იორკი, 19 მარტი („რეიტერი“) ხელის მოწერა იაპონიის სესხზე ამერიკაში 500 მილიონ დოლარამდე ავიდა.

ლონდონი, 19 მარტი. („რეიტერი“) იაპონიის საელჩომ ლონდონში გამოაცხადა ოფიციალური ცნობა, ტოკიოდან მიღებული ხაილუნიდან, რომელიც 87 მილზე მდებარეობს გირინიდან სამხრეთ დასავლეთით, ჩინელი მოვიდა და ამბავი მოიტანა, რუსებმა პოლკოვნიკ მადრიტოვის უფროსობით ხაილუნის ახლო მდებარე ადგილებიდან ჩრდილოეთისაკენ დაიხიესო. იაპონელები გირინში იკრიბებიან.

სედლეცი. დროებითმა სამხედრო სასამართლომ განაჩენი დაუდგინა მეოთხე საარტილერიო პარკის 56 სათადარიგო ჯარის-კაცს, რომელთაც კაზარმებში უწესოების მოხდენა და სამხედრო უფროსების წინააღმდეგობის გაწევა ჰბრალდებოდათ. ერთ ურიასა და პოლონელს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, სამს პატიმართა განყოფილებაში გაგზავნა, 116 კაცს—დისციპლინარულ ბატალიონსა და საპატიმროში გაგზავნა ვადით 1½ წლიდან 3 წლამდე. 13 კაცი გაამართლეს.

სარატოვი, 18 მარტი. გაზეთებში ოფიციალური ცნობა დაიბეჭდა, საქალაქო თეატრში ხოლერაზე ლექციის წაკითხვის შემდეგ,—ლექციას 2 ათასი მსმენელი დაესწრო,—კერძო ვექილმა ქალმანოვიჩმა და ნაფიცმა ვექილმა კუპერნიკმა სთხოვეს პოლიცმეისტერს, ნება მოგვეცით, სიტყვა წარმოვსთქვათ სადღესო ვარამზეო. რადგან ესეთი სიტყვა ლექციის პროგრამას ეწინააღმდეგებოდა, პოლიცმეისტერმა გუბერნატორის განკარგულებით, უარი უთხრა, კრება დახურა და ფარდის ჩამოშვება მოითხოვა. ასტყდა ხმაურობა, გაისმა ყვირილი, „ძირს პოლიციაო“, თეატრიდან ხალხის გასაყვანად ორი როტა ჯარი დაიბარეს; სანამ ჯარი მოვიოდა, ლოჟებიდან და გალერეებიდან პროკლამაციებს ისროდნენ და რევოლიუციონურ სიტყვებს წარმოსთქვამდნენ. შემდეგ ხალხი თეატრიდან გავიდა, ალექსანდრეს ქუჩაზე გაემართა და რუსულად მარსელიეზას მღეროდა. ჯარმა გზა შეკრა. ხალხმა ხუთჯერ გაისროლა რევოლვერი, თუმცა ვნება-კი არავის მოსვლია ამ სროლით. 39 კაცი დაატუსაღეს. 2 კაცი, რომელთაც სიტყვები წარმოსთქვეს, თავიანთ სადგომებში დააპატიმრეს. იმ ადგილას, სადაც ხალხს წრე შემოავლეს, რევოლიუციონური ბროშიურები და პროკლამაციები იპოვეს. დატუსაღებულთ დარაჯები მიუჩინეს გუბერნატორის სავალდებულო განკარგულების დარღვევისათვის.

ლოძი, 19 მარტი. გზად მიმავალ პოლიცმეისტერის თანაშემწეს შტალოვიჩს უმბარა ესროლეს და მძიმედ დასჭრეს ფეხსა და მკერდში. პოლიციელმა ხმლით სასიკვდილოთ დასჭრა თავში ბოროტ-განმზრახველი. აფეთქებისაგან ახლო-მახლო სახლებში შუშები დაილეწა. ვინც სკამებზე ისხდნენ, ძირს გადაცვივდნენ. ტროტუარზე ერთის ფუტის სიღრმე და 12 ფუტის სიგანე ორმო ამოთხარა. შტალოვიჩი ცოცხალია. ბოროტ-გამზრახველი გარდაიცვალა. აფეთქებისაგან სუბუქად დაიჭრნენ ქუჩაში მიმავალი კაცი და ორი ქალი.

პსკოვი. მოსწავლეთა ცემის შესახებ საქმის გარჩევა ბრალდებულთა გამართლებით დასრულდა.

მოსკოვი. ახალ შინაგან სესხზე ხელის მოწერამ კარგად ჩაიარა.

სიმფეროპოლი. მელიტოპოლის საბჭომ დაადგინა იალტაში მომხდარ უწესოებისა გამო, მელიტოპოლში დარაჯები დაუყენოთ მოქალაქეთა დასაცველადაო.

ტანჟერი. გერმანიის იმპერატორმა სიტყვა წარმოსთქვა გერმანელთა კოლონიის წინაშე: მოხარული ვარ გერმანიის ვაჭრობისა და მრეწველობის პიონერებს მივესალმო მაროკოს თავისუფალ ქვეყანაშიო.

ბერლინი. დელკასეს სიტყვის შესახებ „ბერლინერ ტაგებლატ“-ი სწერს: დელკასეს ეტყობა, ჰსურს გერმანიის სამართლიანი მოთხოვნა დააკმაყოფილოს, ისე რომ საფრანგეთსაც ზარალი არ მოუვიდეს.

პარიზი. პოლიტიკოსთა წრეები დარწმუნებულნი არიან, რომ გერმანიის დამოუკიდებელი პოლიტიკა მაროკოში ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებას ეწინააღმდეგებაო. დელკასემ დიდი შეცდომა ჩაიდინა, რომ წინადვე არ გაითვალისწინა ეს გარემოება. ამ შეცდომის გასწორება ადვილი არაა. აქ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა იმ ცნობამ, რომ რუსეთმა საფრანგეთის ქარხნებს 2 ათასი ვაგონი და 130 ლოკომოტივი შეუკვეთა ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზებისათვისაო.

კოსტრომა. ახალ სესხზე ხელის მოწერამ მოლოდინს გადააჭარბა. რამდენსამე საათში ნახევარ მილიონზე მოაწერეს ხელი.

ოდესა. ოდესის სამოსამართლო პალატის პროკურორი იალტას წავიდა, რომ მომხდარ უწესოების გამოძიებას თითონ გაუწიოს ხელმძღვანელობა.

ტომსკი. ქუჩებში გააკრეს სავალდებულო დადგენილება, რომ საზოგადო დარბაზებსა, კერძო სადგომებსა და ეზოებში კრების მოხდენა აკრძალულია.

ყაზანი. „ვოლჟსკი ლისტოკ“-ი იუწყება, 24 მარტიდან 31 მარტამდე მომრიგებელი მოსამართლე ნოქართა მიერ ქუჩებში მოხდენილ უწესოების საქმეს გაარჩევს. ნოქრები მაღაზიების დაკეტვას თხოულობდნენ.

პეტერბურგი. ბანკში შეკრებილ ცნობებით, ხელის მოწერამ ახალ შინაგან სესხზე კარგად ჩაიარა.—სამშაბათს ბეჭდვით საქმის საზოგადოება განიხილავს საკითხს ბეჭდვით საქმეში მშრომელთა კვირაობითა და უქმეობით შესვენების შესახებ.

20 მარტი

პეტერბურგი, 20 მარტი. ოფიციალური. წყალობითა ღვთისათა ჩვენ, ნიკოლოოზ მეორე, იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვა-და-სხვა და სხვა, ამით ვაცხადებთ: მივაქციეთ რა ყურადღება ფინლიანდიის ერობათა წარმომადგენლების უქვეშევრდომილესს შუამდგომლობას დიდ სამთავროში სამხედრო საქმის მოწესრიგების შესახებ და მივიღეთ რა მხედველობაში ისა, რომ ხსენებულ შუამდგომლობის საბოლოო გადაწყვეტა არ მოხდება იქამდე, სანამ ფინლიანდიის ადგილობრივ და საზოგადო სახელმწიფო კანონმდებლობის საქმის შესახებ დანიშნული კომისია არ გაათავებს თავისს შრომას, ჩვენ საკეთილოდ დავინახეთ შეჩერებულ იქნას დროებით 1901 წ. 29 ივნ. (12 ივლ.) ფინლიანდიისათვის გამოცემული სამხედრო ბეგრის წესდება; ამ განკარგულების საფუძველი განმარტებულია იმ წინადადებაში, რომელიც ამავე რიცხვს მიეცა ჩვენგან ერობათა წარმომადგენლებს.—ნამდვილზე საკუთარის მისის იმპერატორებით უდიდებულესობის ხელმოწერილია „ნიკოლოოზ“. ბოძებულია ცარსკოე სელოში. ზემოხსენებულ წინადადების სიტყვით განზრახვა აქვთ დააწესონ, რომ ფინლანდიის ხაზინამ, 1905 წ. 1 იანვრიდან 1907 წლის გასვლამდე, აძლიოს სახელმწიფო ხაზინას ყოველ წლობით სამხედრო საჭიროებისთვის დამარება, სახელდობრ ათი მილიონი მარკა წელიწადში იმისდა მიხედვით, თუ რა შეძლება აქვს ხსენებულ სამთავროს.

უმაღლესი დადგენილება: ხელმწიფე იმპერატორმა ფინლანდიის ერობათა წევრების უქვეშევრდომილეს მოხსენებისამებრ, ცარსკოე სელოში, 1905 წ. 16 (29) მარტს, კეთილინება და უმაღლესად ბრძანა, გაუქმებულ იქნას 1902 წ. 1 (14) აგვის., გამოცემული დროებითი დადგენილება სასამართლო უწყების სამსახურის პირთა სამსახურიდან გადაყენების შესახებ.

გუნჩულინი, 19 მარტი. ჩვენმა უკან დახევამ ძლიერ გაათამამა იაპონელები და ისინი სულ უფრო და უფრო კადნიერდებიან. 15 მარტს მარჯვენა ფრთაზე იაპონიის რაზმი იერიშით მიიჭრა ჩვენსაზე. მიშჩენკოს რაზმის კავალერისტებმა გაჰფანტეს იაპონელები და 7 კაცი დაატყვევეს.

პერიმი, (რეიტ.). რუსის 5 სამხედრო გემი და ერთიც გემის უკან ჩამობმული (ბუქსირი) ჯიბუტისაკენ გაემართნენ. მათთან ახლავს სამი საკომერციო გემი.

ხარბინი. მანჯურიაში ძალიან ცოტაა ადგილობრივი ჩოხოები, რაისთვისაც შანხაიდან გამოგზავნეს ბევრი ფული, თიაო ათ ჩოხოიანი. შანხაიში დოლარს 820 ჩოხოთ ახურდავებდნენ, მანჯურიაში-კი მხოლოდ 640 ჩოხოთ.

შანხაი. სეულიდან იუწყებიან. გენ. ხოსეგავამ, რომელიც იაპონელთ ჯარებს სარდლობს კორეაში, განაცხადა: აკრძალულია იმ მიწების გაყიდვა, გინდ ვისმესთვის გადაცემა, რომელნიც ჩრდილოეთ კორეაშია, სეულ-იჩეუს გასწვრივ და რომელნიც საჭიროა სამხედრო მიზნისთვისო.

პარიზი. დელკასემ შემდეგი უთხრა სენატში პასუხათ ბონეს, რომელიც მას საფრანგეთ-აბისინიის რკინის გზების შესახებ შეეკითხა: მთავრობა არ იზამს, რომ ამ გზას საერთაშორისო ხასიათი მიეცესო: ის გააკეთებს გზას ჯიბუტ-პორტო-ფრანკოზე, როცა ამას საჭიროთ დაინახავს, უსაერთაშორისო შეთანხმებით და ხელს შეუწყობს ეთიოპიის დამოუკიდებულებასო.

პარიზი. „ტანი“ ამტკიცებს, გერმანია სხვა თვალით უცქერდა მაროკოს საკითხს, როცა ინგლის-საფრანგეთის მაროკოს შესახებ შეთანხმებაზე ხელს აწერდათ. ვერ გაგვიგია, რად გამოიცვალა მან წინანდელი შეხედულებაო.

ხარკოვი, 19 მარტი. ნოქრებმა კრებაზე ამოირჩიეს დელეგატები, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ ფინანსთა მინისტრის თავმჯდომარეობით გამართულ თათბირში, რომელიც სამუშაო დროსა და ნოქრებისთვის კვირაუქმეობით დასვენების კანონმდებლობის შესახებაა დანიშნული.

რეველი. ფინლიანდიის გემი „რეგულუს“-ი გაირიყა ჰანგეს დასავლეთით. დასახმარებლათ გავიდა გემი „მეთეორ“-ი. ქალაქში სიმშვიდეა.

პეტერბურგი. „ნოვ. ვრემია“-ს დეპეშით ატყობინებენ იალტიდან, მტკიცდება „პეტ. სააგენტო“-საგან მოწოდებული ცნობა ტიფის გაჩენის შესახებ. ოფიციალური ცნობები არღვევს. ტიფის წინააღმდეგ ზომებს იღებენ.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

20 მარტი.

პეტერბურგი. დაახლოვებით გამოანგარიშებულია, რომ მუკდენთან ბრძოლების დროს დაშავებულთა დასაბინავებლათ 40 ათასი ადგილია საჭირო. ჰფიქრობენ, მუდამ დღე ორ-ორი სასანიტარო მატარებელი გამოუშვან შორეულ აღმოსავლეთიდან და თითოში 400 კაცი ჩასვან. ეჭვს გარეშეა, რომ მამაცნი წვალებულნი, რომელთაც თვისი სისხლი დაღვარეს შორეულ მანჯურიის მინდვრებში, მოიპოვებენ თავშესაფარს საზოგადოებაში, და გულითად მზრუნველობას გაუწევენ მათ. რუსეთის საზოგადოების წითელ ჯვრის გამკარგულებელი კომიტეტი მტკიცეთაა დარწმუნებული საზოგადოების გულ-მოწყალებაში ომის უბედურ მსხვერპლთა მიმართ და მიმართავს ყველა იმ პირთ, რომელნიც მოისურვებენ ხელი შეუწყონ კეთილ საქმეს დაშავებულ მეომართა თავშესაფრების მოძებნაში და უმორჩილესად სთხოვს დაუთმონ ლაზარეთისთვის შენობა, მოაწყონ საავადმყოფოს საწოლები შესწირონ ფული, წამლები, ჭრილობის შესახვევი მასალა და სხვ. საჭიროა დიდი შემოწირულებანი. ყოველგვარი განცხადებანი გაიგზავნოს უნდო კომიტეტის სადგომში მოხოვაია 42. იქვე ყოველგვარ ცნობების მიღება შეიძლება და აგრეთვე უფასოთ იძლევიან პერიოდულ გამოცემის „პრიზრ. რანენიხ“-ის ნომრებს, რომლებშიდაც იბეჭდება ყველა ცნობანი საგანგებო კომისიის მოქმედების ორგანიზაციაზე და აგრეთვე წესები და დარიგებანი იმ პირთათვის, რომელნიც მოისურვებენ შეიფარონ დაჭრილები.

ლონდონი, 19 მარტი. იაპონიის მისიის ცნობით, ხაილუნის რაიონიდგან, რომელიც 130 ვერსტზეა გირინიდან სამხრეთ-დასავლეთით, მოსულან იქაური მკვიდრნი და უთქვამთ: რუსები და ხუნხუზები, პოლკოვნიკ მადრიტოვის უფროსობით ჩრდილოეთით იხევენ ხაილუნიდან. რუსები გირინის მხრისაკენ მყარდებიან.—რუსის მოწინავე რაზმებმა დასწვეს სადგური [illegible] და ჩანჩუსკენ მიდიან.

ხაბაროვსკი, 20 მარტი. მოვიდა ამ მხარეს ახლადდანიშნული უფროსი გენ. ხრეშჩატიცკი.

ტოკიო. იაპონიის პრესის აზრით რუზველტთან იაპონიის საელჩოს ზავზე მოლაპარაკების შესახებ ხმის დაყრა რუსების საფინანსო აგენტების ნამოქმედარია, რადგანაც რუსეთი ცდილობს პარიზში ახალი სესხი იშოვოსო. აქაური, კარგათ გაგებული წრეები, დაბეჯითებით უარჰყოფენ ამ ხმებს. იაპონია არ ულაპარაკებს ომის განგრძობის განზრახვას. კორეის გზათა კომიტეტი შეუერთდა იაპონიის საფოსტო ბიუროს.

ტანჟერი. მაროკოს საქმეების ვამორწმუნებული კიულმანი თან მიჰყვება ვილჰელმს გიბრალტარისკენ. ამას დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევენ.

პარიზი. „ფიგარო“ ჰმოწმობს, რომ ბოლგარიის მთავარი პარიზში ესპანიის მეფის შემდეგ მოვა. მთავარს პრეზიდენტი და მთავრობა ოფიციალურად მიიღებენ და მეფურ პატივს მისცემენ.

ლისაბონი. პრეზიდენტი ლუბე ჯერ ესპანიის მეფეს გადაუხდის დარბაზობას მადრიდში, მერე ლისაბონს წავა და პორტუგალიის მეფე-დედოფალს ჰნახავს.

კანეია. უცხოეთის ჯარი კანეიდან 19 მარტს დილის 10 საათზე გავიდა სამხედრო სურსათის ქარავნით, საფრანგეთის რაზმი საკონსულოში მეოთხე ჯარის ნახევარს შეადგენს. არწმუნებიან, რომ ინგლისის ჯარი არ გადმოვა ხმელეთზეო. რეტიმნოს რაიონში შეიარაღებული რაზმები ხალხს აღელვებენ. ინგლისის ესკადრა, რიცხვით 7 გემი, ამ ჟამად სუდის ბუხტაში იმყოფება. უცხოეთის ჯარის უფროსმა ფრანგმა პოლკოვნიკმა შეატყობინა აჯანყებულთ, სახელმწიფოებმა მომანდეს, თქვენთან მოლაპარაკება გავმართოო.

პსკოვი. მომრიგებელმა მოსამართლემ გაამართლა ბრალდებულნი, რომელნიც 7 თებერვალს მოსწავლეთა ცემას ჰბრალდებოდათ. პეტერბურგიდან ჩამოსული ადვოკატები ეცადნენ დაემტკიცებინათ, რომ მოსწავლეთა ცემის მოწყობაში პოლიციას მიეღო მონაწილეობა, მაგრამ იმათმა მეცადინეობამ ამაოდ ჩაიარა.

რიგა. საბჭოს ხმოსანთა არჩევანში გამწვავებულ ბრძოლის შემდეგ რუს-გერმანელთა პარტიამ სძლია ლატიშთა პარტიას.

ოდესა. ახალ სესხზე ხელის მოწერა ოდესის ბანკებში ორ მილიონ მანეთამდე ავიდა.

კილი. რუსეთის მიერ ნაყიდი გემი „ასირია“ კილის არხში გაირიყა, მაგრამ რამდენსამე საათის მუშაობის შემდეგ, გემი ისევ ზღვაში გაიყვანეს.

გიბრალტარი. გემი „პრინს ჟორჟი“ უფრო ძლიერ ყოფილა დაზიანებული, ვიდრე ეგონათ. გემმა „ფრიდრიხ კარლ“-მა ტარანით ოთხი ჯავშანი გაუნგრია და „პრინს ჟორჟ“-ის ერთი განყოფილება წყლით გაივსო; გემი დოკში შეიყვანეს. „ფრიდრიხ კარლს“ მხოლოდ ტარანი დაუზიანდა.

მოსკოვი. ვაჭართა ბანკმა გამოაცხადა, ახალ სესხზე ხელის მოწერა ათ მილიონამდე ავიდაო.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი.**

გაზეთი «ცნობის ფურცელი» ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვ 5 მ. 75 კაპ. 10 თვ. 5 მ. 20 კაპ., 9 თვ. 5 მ., 8 თვ. 4 მ. 50 კაპ., 7 თვ. 4 მ. 6 თვ. 3 მ. 50 კ., 5 თვ. 3 მან., 4 თვ. 2 მ. 60 კ., 3 თვ. 2 მან., 2 თვ. 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელნიცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან ფულს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის“ კანტორა უმორჩილესად სთხოვს მათ გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიყვანონ ის ნომერი, რომელიც ადრესზედ დაბეჭდილი.

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებით გამოიგზავნოს.

1 იანვრიდან წლის დამლევამდის „ცნობის-ფურცელი“ ღირს 5 მ. 75 კაპ.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 კაპ. სურათებიანის დამატებით—5 კაპ.

პირველი საწყობი შეშისა

ცუდად დაწყობილი

ბ. ი. კურცხალიასი

კარგად დაწყობილი



ანდრეევის ქუჩა [illegible] პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშა სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პოვოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც [illegible] ყიდველს ნება აქვს შე[illegible] ქენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.

90—24)

გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კოკნაძე.

[illegible] სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბ.